ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13232352**

თარიღი:**23/08/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის, „დ'' ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარის ფორმით, მოთხოვნის შესაბამისად, გასცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გარე განათების ბოძები.

2. ახალციხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გარე განათების თითოეული ბოძის ერთ წერტილზე წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2023 წლის 11 აგვისტოს №366 აუდიტორული დასკვნა) 10,00 (ათი) ლარის ოდენობით 1-დან 100-მდე ერთეული ბოძის შემთხვევაში, 100-დან 500-მდე ერთეული ბოძის შემთხვევაში განისაზღვროს 8,00 (რვა) ლარის, 500-დან 1000-მდე ერთეული ბოძის შემთხვევაში განისაზღვროს 6,00 (ექვსი) ლარის, ხოლო 1000 ერთეულისა და მეტის შემთხვევაში განისაზღვროს 4,00 (ოთხი) ლარის ოდენობით.

3. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განსაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი